188
1940/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. აგვისტოს 5 № 20 თბილისი

4284.

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

77. საქართველოს სსრ-ში კუროორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ში კუროორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის შესახებ.

78. კაპიტალური მშენებლობის ფინანსირების დარგში კომუნალური ბანკის ხარჯების დაფარვის წესის შესახებ.

79. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციული სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

80. საქართველოს სსრ საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის დებულების 23 მუხ. გაუქმების შესახებ.

81. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის ქალაქის საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ.

82. ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებში კადრების მომზადებისათვის დაწესებული ანარიცხების გაუქმების შესახებ.

83. პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებების იმ სადგომების განთავისუფლების შესახებ, რომელნიც უჭირავთ სხვა ორგანიზაციებს.

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

77. საქართველოს სსრ-ში კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის დებულების დამტკიცების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 10 აპრილის დადგენილებისა „კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 12, მუხ. 289), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის დებულება წარმოდგენილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატთან, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთო-ტექნიკურ ინსპექციასთან შეთანხმებით:

ა) დააზუსტონ სანიტარული დაცვის ოლქების არსებული საზღვრები რესპუბლიკური მნიშვნელობის შემდეგ კურორტებზე: წყალტუბო, ბორჯომი და ბორჯომის ჯგუფის კურორტები (წაღვერი, ცემი, ლიბანი, პატარა ცემი, ბაკურიანი და ციხისჯვარი), ახტალა და მენჯი;

ბ) დაწესდეს სანიტარული დაცვის ოლქები რესპუბლიკური მნიშვნელობის შემდეგ კურორტებზე: აბასთუმანი, ბახმარო (ნაბელლავის ჩათვლით), შოვი (უწერის ჩათვლით), საირმე, გაგრა, ფსირცხა, სოხუმი (გულრიპში), ქობულეთი და ძაუ (ჯავა).

3. იმ კურორტების სანიტარული დაცვის ოლქების პროექტები, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მეორე მუხლის „ა“ პუნქტში მათი დანაწილებით ზონებზე, თანახმად საქართველოს სსრ-ში კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის დებულების მეოთხე პუნქტისა, ამ კურორტებში სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების გეგმებთან ერთად წარმოდგენილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად არაუგვიანეს 1940 წლის დამლევისა.

4. იმ კურორტების სანიტარული დაცვის ოლქების პროექტები, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მეორე მუხლის „ბ“ პუნქტში, მათი ზონებზე განაწილებით და ამ კურორტებში სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების გეგმებთან ერთად წარმოდგენილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად არაუგვიანეს 1941 წლის 1 ივლისისა;

5. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ადგილობრივ მრეწველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატის სამთო-ტექნიკურ ინსპექციასთან ერთად ჩაატარონ 1941 წლის განმავლობაში შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დააზუსტონ სანიტარული დაცვის ოლქების არსებული საზღვრები ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ კურორტებზე: თბილისის საგარეუბნო კურორტები (კოჯორი, კიკეთი, მანგლისი, წყნეთი და ბეთანია), სურამი, ქვიშხეთი, ლებარდე, მალთაყვა და ანაკლია;

ბ) დააწესონ სანიტარული დაცვის ოლქები ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ კურორტებზე: ნუნისი, ზვერე და ტყვარჩელი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ივლისის 19. № 1374.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ში კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის შესახებ.

1. კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის მიზანია კურორტების სამკურნალო საშუალებათა ბუნებრივი ფიზიკური და ქიმიური თვისებების შენარჩუნება და აგრეთვე მათი წახდენისა და გამოფიტვისაგან დაფარვა.

2. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა კურორტზე წესდება სანიტარული და დაცვის ოლქი, რომლის ფარგლებში იკრძალება ყოველგვარი სამუშაოები და მოქმედებანი, უკეთუ ისინი აბინძურებენ ნიადაგს, წყალსა და ჰაერს და შეუძლიათ მავნედ იმოქმედონ კურორტის სამკურნალო საშუალებათა და სანიტარულ პირობების მდგომარეობაზე.

შენიშვნა. სასმელი წყლის მომარაგების სანიტარული დაცვა კურორტებზე და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილებზე სწარმოებს „წყალსადენებისა და წყალმომარაგების წყაროთა სანიტარული დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის ცაკ-ის და სახკომსაბჭოს მიერ 1937 წელს 17 მაისს გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 35, მუხ. 143) და „წყალსადენებისა და წყალის მიწოდების წყაროების სანიტარული დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 16, მუხ. 118) საფუძველზე.

3. სანიტარული დაცვის ოლქი წესდება რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის თვითეულ ცალკე კურორტისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის წარდგენით, რაც შეთანხმებული უნდა იქნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთოტექნიკურ ინსპექციასთან.

4. კურორტის სანიტარული დაცვის ოლქი იყოფა სამ ზონად, რომელთაგანაც თვითეულში განსაკუთრებული რეჟიმი წესდება:

ა) პირველი ზონა შეიცავს მინერალური წყლების ზედაპირზე ამოსვლის ადგილებს, ტალახის, ტბებს და ზღვის პლიაჟებს, რომელთაც აქვთ სამკურნალო მნიშვნელობა.

პირველ ზონაში აკრძალულია იმ პირთა მუდმივი ან დროებითი ცხოვრება, რომელნიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი კურორტის მუშაობასთან, აკრძალულია აგრეთვე ყოველგვარი მშენებლობა ან მიწის სამუშაოები, უკეთუ ისინი არ არიან დაკავშირებულნი კურორტის სამკურნალო საშუალებათა ექსპლუატაციასთან ან კავშირგაბმულობის საშუალებათა (რომელნიც ამ ზონაზე გადიან) რემონტთან და მშენებლობასთან.

მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მეორე ზონა შეიცავს ტერიტორიას, რომლიდანაც სწარმოებს ზღვის-პირო და ქვენიადაგის წყლების ჩამოდენა მინერალური წყაროების ზედაპირზე ამოსვლის ადგილზე, მიწის ზედაპირიდან არაღრმად ცირკულაციის ადგილებს იმ მინერალური და მტკნარი წყლებისა, რომლებიც მონაწილეობენ მინერალური წყაროების შექმნაში, სამკურნალო წყლებისა და სამკურნალო ტალახის ბუნებრივ და ხელოვნურ საცავებს, სამკურნალო ნაგებობებს, კურორტის მახლობლად მდებარე ზღვებისა და ტბების სანაპირო ზოლებს.

მეორე ზონაში აკრძალულია ტერიტორიის ისეთი გამოყენება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კურორტის სამკურნალო საშუალებათა რიცხობრივი ან თვისობრივი გაუარესება. ამასთან დაკავშირებით ყოველგვარი მშენებლობა, მიწისა და ტყის ნაკვეთების და წყალსაცავების გამოყენება რაიმე მიზნებისათვის მეორე ზონის ფარგლებში დაიშვება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს განსაკუთრებული ნებართვით (ამ დებულების 9 პუნქტი).

შენიშვნა. მშენებლობა კურორტებზე წყალტუბო, მენჯი და ახტალა მოწესრიგდება „კურორტ წყალტუბოს, მენჯის, ახტალის, ბორჯომის და კურორტთა ბორჯომის ჯგუფის სამშენებლო და სამთო სანიტარული ზონის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წ. 1 ნოემბრის № 2097—1 და 3 მუხლების შესაბამისად.

გ) მესამე ზონა შეიცავს ჰიდრომინერალური რესურსების საზრდოებისა და გაფორმების მთელ ფართობს, აგრეთვე იმ ადგილებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ კურორტის კლიმატურ და სანიტარულ პირობებზე.

მესამე ზონაში დაიშვება იმ წესით რაც გათვალისწინებულია ამა დებულების მე-9 პუნქტით ყოველგვარი სამთო დამუშავებათა წარმოება, ღრულების ბურღვა, ტყეების სრული გაჩეხვა, სანაგვეთა, პირუტყვთსამარხების, სასაფლაოების, სარწყავი მინდვრების, საასენიზაციო მინდვრების მოწყობა.

მდინარეებში და წყალსატევებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაიშვება სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ 1938 წ. 2 თებერვალს გამოცემული „ღია წყალსაცავებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების წესების“ მოთხოვნილებათა დაცვით.

5. კურორტების სანიტარული დაცვის ოლქებისა და ოლქებში ზონების საზღვრები უნდა იქნეს დაწესებული და ნატურაში აღნიშნული სათანადო წარწერიანი ბოძებით იმ საკურორტო სამმართველოებისა ან ორგანიზაციების ძალებითა და სახსრებით, რომელთა გამგებლობაში და ექსპლოატაციაშიც იმყოფება კურორტი.

6. სამკურნალო მნიშვნელობის ადგილებში, რომლებისთვისაც ჯერ კიდევ არაა დაწესებული სანიტარული დაცვის ოლქი, მანამდე სანამ ჩატარებული იქნება ოლქის საზღვრების დაწესებისათვის საჭირო გამოკვლევანი, შეიძლება დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ სსრ კავშირის ჯანსახკომის დამტკიცებით სანიტარული დაცვის დროებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქები ბუნებრივ გეომორფოლოგიურ საზღვრებში ისე, რომ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარმოედგინოს სანიტარული დაცვის მუდმივი ოლქის საზღვრები.

7. კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის განხორციელება ეკისრება მშრომელთა დეპუტატების სათანადო ადგილობრივ (რაიონულ ან საქალაქო) საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზეც იმყოფება სანიტარული ოლქები.

8. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი (რაიონული ან საქალაქო) საბჭო, რომლის ტერიტორიაზეც სანიტარული ოლქი იმყოფება, ვალდებულია აცნობოს მოსახლეობას სანიტარული დაცვის ოლქებისა და ზონების საზღვრები და აგრეთვე გააცნოს რეჟიმი რომელიც მოქმედობს ამ საზღვრების ფარგლებში.

9. სანიტარული დაცვის ოლქის ფარგლებში რაიმე სამუშაოთა საწარმოებლად დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა მოქალაქეებისათვის ნებართვათა გაცემა წარმოებს მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივ (რაიონული ან საქალაქო) საბჭოების მიერ, რომელთა ტერიტორიაზეც იმყოფება სანიტარული ოლქი, უკეთუ არის სათანადო საკურორტო სამმართველოების დადებითი დასკვნა, რაც დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს მიერ ან და აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების საკურორტო სამმართველოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების მიერ, ხოლო სხვა უწყებებისათვის კუთვნილ კურორტებზე,—უკეთუ არის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს დასკვნა.

საკურორტო სამმართველოების, და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს დასკვნები სანიტარული დაცვის დარგში შეთანხმებულ უნდა იქნას სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებთან და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთო-ტექნიკურ ინსპექციასთან.

10. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი (რაიონული და საქალაქო) საბჭოების გადაწყვეტილებანი, აგრეთვე საკურორტო სამმართველოების, და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს დასკვნები სანიტარული დაცვის საკითხებზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა მიერ თხუთმეტი დღის განმავლობაში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში, კუთვნილებისამებრ.

11. კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის სხვა ადგილების სანიტარული დაცვის ყველა ღონისძიება ტარდება იმ საკურორტო სამმართველოებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა გამგებლობაში და ექსპლოატაციაშიც იმყოფება კურორტი (ან სამკურნალო მნიშვნელობის ადგილი) მათი სახსრების ხარჯზე და შეთანხმებულ უნდა იქნას სახელმწიფო სანიტარული ინსპექციისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთო-ტექნიკურ ინსპექციასთან.

12. კონტროლი ამ დებულების შესრულებაზე, იმ ნაწილში, რომელიც ეხება კურორტების და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის ზონებში სანიტარულ ღონისძიებათა ჩატარებას, ეკისრება სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებს.

13. ჰიდრომინერალური რესურსების სწორი ექსპლოატაციისათვის და მათი წახდენისა და გამოფიტვისაგან დაცვის კონტროლი ეკისრება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთო-ტექნიკურ ინსპექციას.

14. სანიტარული დაცვის დარგში ამ დებულებით დაწესებული წესების, და აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოები დამნაშავეებს აძლევენ პასუხისგებაში თანახმად დებულებისა „სახელმწიფო-სანიტარული ინსპექციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 18, მუხ. 156).

15. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს ეკისრება გამოსცეს ამ დებულების გამოყენების ინსტრუქცია, იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რასაც გამოსცემს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის შესახებ.

---

78. კაპიტალური მშენებლობის ფინანსირების დარგში კომუნალური ბანკის ხარჯების დაფარვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ყოველწლიურად დააწესოს კაპიტალური დაბანდებათა დაფინანსების ოპერაციებისათვის კომუნალური ბანკის საკომისო გასამრჯელოს პროცენტული განაკვეთი, ბანკის ყველა ოპერაციებთან დაკავშირებული მუშაობის მოცულობის გათვალისწინებით და კომუნალური ბანკის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების იმ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რასაც საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამტკიცებს.

2. დაწესდეს, რომ საკომისიო გასამრჯელოს დარიცხვას აწარმოებს საქართველოს კომუნალური ბანკი წლის დამლევს იმ სახსრების ნაშთების ანგარიშში, რაც შემოსულია კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად როგორც ბიუჯეტის ისე საწარმოთა საკუთარი სახსრებიდან.

იმ მშენებლობებზე, რომელთა დაფინანსება სწარმოებდა გეგმის გარეშე დაბანდებებისათვის შემოტანილი თანხებიდან საკომისიო გასამრჯელო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული რაოდენობით დაირიცხება ამ წყაროების ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაზე კომუნალური ბანკის მიერ გაწეული ხარჯების დაფარვის ამა დადგენილებით შემოღებული წესი ძალაში შედის 1940 წ. 1 იანვრიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ივლისის 20. № 1403.
თბილისი.

---

79. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციული სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა.
სახალხო კომისართან არსებული ინსპექტორების ჯგუფი.
კადრების სექტორი.
სამობილიზაციო განყოფილება.
საგეგმო-ეკონომიური სექტორი.
მუშა კადრებისა და ხელფასის სექტორი.
საფინანსო სექტორი.
ცენტრალური ბუხჰალტერია.
აღრიცხვისა და ანგარიშგების სექტორი.
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება.
მატერიალური ბალანსების სექტორი.
სანიტარული სამსახურის განყოფილება.
ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება.
თამბაქოს მრეწველობის მთავარი სამმართველო.
საკონდიტრო მრეწველობის მთავარი სამმართველო.
ზეთსახდელი და ცხიმის მრეწველობის მთავარი სამმართველო (სამეურნეო ანგარიშზე).

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის უშუალო ქვემდებარეებაში იმყოფებიან:

ტრესტი „ჩაიგრუზია"
ტრესტი „ჩაისოვხოზგრუზია"
მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობათა და ღვინის სახდელი მრეწველობის ტრესტი (სამტრესტი).
საქპურტრესტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტი.
საქართველოს მინერალური წყლების ტრესტი.
საქკვებმშენი.
საქკვებპროექტი.
ლიტოგრაფია.
თბილისის ტარის ქარხანა.
ბათუმის ტარის ქარხანა.

3. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის შემდეგი ორგანიზაციები და განყოფილებები:

„ჩაისოვხოზგრუზიას“ ტრესტის ორგგეგმების ჯგუფი 1940 წ. 1 ოქტომბრიდან;

საქართველოს მინერალური წყლების თბილისის კანტორა, მისი ფუნქციების გადაცემით ტრესტ „საქმინწყალის“ მომარაგება-გასაღების განყოფილებისათვის,

ღვინმრეწვაჭრობა, მისი ფუნქციების გადაცემით მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობათა და ღვინის სახდელი მრეწველობის ტრესტის—„სამტრესტის“—ყურძნისა და ღვინის მასალის დამზადებისა და გადამუშავების განყოფილებისათვის.

მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობათა და ღვინის სახდელი მრეწველობის ტრესტის ორგგეგმების ბიურო 1940 წლის 1 ოქტომბრიდან.

მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობათა და ღვინის სახდელი მრეწველობის ტრესტის კიევის, როსტოვის და შუაბზის განყოფილებები.

ტრესტი „საქმცენარზეთი“ რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ზეთსახდელი და ცხიმის მრეწველობის მთავარ სამმართველოდ.

საქმთავთამბაქოს მომარაგებისა და გასაღების განყოფილებების გაერთიანების ბაზაზე დაარსებულ იქნას საქთამბაქმომარაგება-გასაღება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის თამბაქოს მრეწველობის მთავარი სამმართველოსათვის დაქვემდებარებით.

ლიკვიდირებულ იქნას „მთავთამბაქოს“ თბილისისა და ქუთაისის გასაღების ბაზები, მათი ფუნქციების გადაცემით „მთავთამბაქოს“ საქთამბმომარაგება-გასაღებისათვის.

ლიკვიდირებულ იქნას საქპურტრესტის განყოფილება ზესტაფონში და მისი ფუნქციები გადაეცეს საქპურტრესტის ქუთაისის განყოფილებას.

ლიკვიდირებულ იქნას საქპურტრესტის განყოფილება ხაშურში და მისი ფუნქციები გადაეცეს საქპურტრესტის ბორჯომის განყოფილებას.

4. დამტკიცდეს 1940 წლისათვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის აგრეთვე ამ კომისარიატისადმი უშუალოდ ქვემდებარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრესტების და საწარმოების საერთო შტატი 771 კაცის რაოდენობით, ნაცვლად სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული შტატისა 934 კაცის რაოდენობით, აქედან:

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატი (მთ. სამმართ. ჩათვლით) . . . . . 104 ერთ.

ტრესტი „ჩაიგრუზია" (მომარაგების განყ. ჩათვლით) . . . . . 137 ერთ.

ტრესტი „ჩაისოვხოზგრუზია" (მომარაგების განყ. და ორგ. გეგმების ბიუროს დროებით აპარატის ჩათვლით) . . . . . 101 ერთ.

მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობათა და ღვინის სახელმწიფო მრეწველობის ტრესტი (ცენტრალური ლაბორატორიის და ორგ. გეგმების ბიუროს დროებით აპარატის ჩათვლით) . . . . . 116 ერთ.

საქპურტრესტი (მომარაგების და გასაღების განყოფილების და ცენტრალური ლაბორატორიის ჩათვლით) . . . . . 70 „

ტრესტი „საქართველოს ლუდ-ლიმონათი" (მომარაგება-გასაღების განყოფილების საწყობის და ცენტრ. ლაბორატ. ჩათვ.) . . . 58 „

ტრესტი „საქმინწყალი" (მომარაგება-გასაღების განყოფილების, ცენტრალური ლაბორატორიის და საბაზისო საწყობის ჩათვლით) . . 40 „

საქკვებმშენი . . . . . 38 „

საქკვებპროექტი . . . . . 14 „

ლიტოგრაფია . . . . . 24 „

თბილისის და ბათუმის ტარის ქარხნები . . . . . 34 „

მთავ. თამბ. მომარაგება-გასაღება (მთ. სამმართ. გამოკლებით) . 25 „

მთავ. საკონდიტ. მომარ.-გასაღება (მთ. სამმართ. გამოკლებით) . 10 „

5. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ ფინსახკომთან ერთად შეამციროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის სამეურნეო ორგანოების და ქარხანათ მმართველობების ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატი 17%-ით და ერთი დეკადის ვადაში დაამტკიცოს საშტატო კონტიგენტები და ხელფასის ფონდები თვითეული ცალკე საწარმოსათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს შეიტანოს სათანადო ცვლილებები საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1940 წ. საფინანსო გეგმაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ივლისის 25. № 1439.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

80. საქართველოს სსრ საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის დებულების 23 მუხლის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 22 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საწარმოებში მოხალისეთა სახანძრო რაზმის დებულების 23 მუხლი (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 14 მუხ. 58).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ივლისის 26. № 1447.
თბილისი.

---

81. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის ქალაქის საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 1 ივლისის დადგენილებისა „კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 19, მუხ. 466), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საცნობარო-საინფორმაციო სამსახური („საქცნობა") ქ. თბილისში გადაცემულ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში მთელი აქტივითა და პასივით 1940 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ერთეულის უფლებების საფუძველზე და ეწოდოს მას მომავალში „თბილქალაქცნობა".

2. იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში და ბორჯომში არსებული საინფორმაციო სამსახური დეფიციტურია და აღნიშნული ქალაქების ქალაქის საბჭოებს არა აქვთ მათი დოტაციით შენახვის შესაძლებლობა, აუცილებლად იქნას ცნობილი აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაცია ამ ქალაქებში 1940 წლის 1 აგვისტოდან.

3. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში გადასცეს საქცნობა ქ. თბილისში მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომს, ხოლო საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის ლიკვიდაცია ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში და ბორჯომში განახორციელოს მშრომელთა დეპუტატების სათანადო ქალაქის საბჭოს აღმასკომებთან ერთად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ს. **ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 1. 1515.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებში კადრების მომზადებისათვის დაწესებული ანარიცხების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 26 მარტის დადგენილების 17 მუხლის თანახმად, გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 13 მარტის დადგენილება „ადგილობრივი საბჭოების სახლებში კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადებისათვის ანარიცხების დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 8, მუხ. 36) იმ ნაწილში, რომელიც ეხება ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობათა შემოსავლიდან კადრების მომზადებისათვის 1%-იან ანარიცხებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 1. № 1516.
თბილისი.

---

83. პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებების იმ სადგომების განთავისუფლების შესახებ, რომელნიც უჭირავთ სხვა ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ქალაქის საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ერთი თვის ვადაში გაანთავისუფლონ ყველა საკლუბო სადგომი, რომელიც უჭირავთ სხვა ორგანიზაციებს და გადასცენ ისინი კლუბების მოწყობისათვის გამოსაყენებლად; ამავე ვადაში დაუბრუნონ პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებებს ყველა ის სპეციალური სადგომი, რაც მათ წინად ეჭირათ.

აიკრძალოს მომავალში პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებების გამოსახლება მათი სადგომებიდან, აგრეთვე სხვა დაწესებულებათა კლუბების შესახლება ამ სადგომებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს (ამხ. მ. ბურჭულაძეს) თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 1. № 1521.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

П. 601 /300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунисти“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

უე—4216. შეკვეთა (Заказ) № 1273. ტირ. (Тираж) 2000